საბანკო გარანტია საავანსო გადახდაზე # 1070711-2495118

თბილისი

2013 წლის 26 დეკემბერ

სს "თიბისი ბანკი", მოქმედებს რა წესდებისა და საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, გასცემს წინამდებარე გარანტიას ქვემ
წარმოდგენილი ძირითადი პირობებით :

გარანტი: **სს "თიბისი ბანკი"**

პრინციპალი : **შპს კომპანია ბლექ სი გრუპი**

საიდენტიფიკაციო ნომერი: 204477734

ბენეფიციარი : შპს "საქართველოს აეროპორტების გაერთიანება" - 80%;
შპს "საქაერონავიგაცია" – 20%;

გარანტიის თანხა : 48536,15 (ორმოცდარვა ათას ხუთასოცდათექვსმეტი მთელი და 15 მეასედი) ლარი

გარანტიის გაცემის საფუძველი : "პრინციპალსა" და "ბენეფიციარებს" შორის 2013 წლის 19 დეკემბერს გაფორმდა #1/289-20
ხელშეკრულება, ქუთაისის დავით აღმაშენებლის სახელობის საერთაშორისო აეროპორტისა (ნავიგაციის საჭიროებისათვის წყლის ტუმბოების (CPV-42122130) შესყიდვასთან დაკავშირები (შემდგომში "ხელშეკრულება"). "ხელშეკრულებით" გათვალისწინებული საავანსო თანხ გადახდის უზრუნველსაყოფად აუცილებელია გარანტიის გაცემა.

ბენეფიციარის თანხმობა გარანტიის პირობებზე: ბენეფიციარების განსაზღვრული უფლება-მოვალეობების გათვალისწინები წინამდებარე გარანტია მათთვის მისაღებია.

გარანტიით უზრუნველყოფილი ვალდებულება : "გარანტი" კისრულობს ვალდებულებას, ამ საგარანტიო წერილის პირობებ გათვალისწინებით, ყოველგვარი უარყოფისა და გასაჩივრების უფლების გარე "ბენეფიციარების" პირველივე წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან ხუთი საბანკო დღ ვადაში გადაუხადოს მას გარანტიის თანხა.

გარანტიის ძალაში შესვლის ვადა: გარანტია ძალაში შევა მხოლოდ მას შემდეგ, რაც სს "თიბისი ბანკში" "პრინციპალ ანგარიშზე სრულად ჩაირიცხება "ხელშეკრულებით" გათვალისწინებულ საავანსო თანხ არანაკლებ **48536,15 (ორმოცდარვა ათას ხუთასოცდათექვსმეტი მთელი და 15 მეასედ ლარისა.**

არანტიის თანხის მოთხოვნის უფლება: "გარანტის" მიერ საგარანტიო თანხის გაცემა მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ დაირღვა "პრინციპალის" მიერ "ბენეფიციარების" წინაშე ნაკისრი ვალდებულება, რ გამოიხატება შემდეგში:
„ბენეფიციარები" სრულად ჩარიცხავენ სს "თიბისი ბანკში" "პრინციპალის" ანგარიშ საავანსო თანხას არანაკლებ **48536,15 (ორმოცდარვა ათას ხუთასოცდათექვსმეტი მთელ და 15 მეასედი) ლარისა.** და ამავდროულად "პრინციპალმა" დაარღვია "ხელშეკრულება" ბენეფიციარებმა წერილობით მოთხოვნაში უნდა მიუთითონ იმ გარემოების შესახებ თ რაში გამოიხატა პრინციპალის მიერ ვალდებულების დარღვევა, ასევე მოთხოვნასთ ერთად გარანტს უნდა წარუდგინონ პრინციპალის მიერ ვალდებულებ შეუსრულებლობის დამადასტურებელი მტკიცებულება ასეთის არსებობის შემთხვევაში. წერილობითი მოთხოვნა თანდართულ დოკუმენტებთან ერთად (ასეთის არსებობ შემთხვევაში) წარდგენილ უნდა იქნეს ს.ს. "თიბისი ბანკი"ს კანცელარიაში სამუშ საათებში.

საგარანტიო თანხის შემცირება: საგარანტიო თანხა მცირდება:
„პრინციპალის" ვალდებულების დოკუმენტალურად დადასტურებული შესრულებ პროპორციულად.

გარანტიის მოქმედების ვადა : 26.12.2013-დან 30.04.2014-მდე. მოთხოვნა გარანტიაზე გადახდის შესახებ "ბენეფიციარების" მიერ წარმოდგენილ უნდა იქნას ამ თარიღამდე

თუ წინამდებარე საბანკო გარანტიის მოქმედების ვადაში არ იქნა წარმოდგენილი "ბენეფიციარის" წერილობითი მოთხოვნა "პრინციპალ შეუსრულებელ ვალდებულებაზე მითითებით მაშინ გარანტიის მოქმედება წყდება.

წინამდებარე გარანტიაზე საქართველოს სამოქალაქო კოდექსთან ერთად მოქმედებს საერთაშორისო სავაჭრო-სამრეწველო პალატის მ დადგენილი უნიფიცირებული წესები მოთხოვნამდე გარანტიებზე (პუბლიკაცია #758).

საბანკო გარანტიის თაობაზე წამოჭრილი ყველა დავის გადაწყვეტა მოხდება ურთიერთმოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლო შემთხვევაში დავა განიხილება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

ს.ს. "თიბისი ბანკი"ს წარმომადგენელი გრიგოლ კაცია /----------/